



შეფასებისა და გამოცდების
ეროვნული ცენტრი

ლოგიკური მსჯელობა და რაოდენობრივი მსჯელობა

დღეს გამოცდა ჩატარდება ლოგიკურ მსჯელობასა და რაოდენობრივ მსჯელობაში.

1. ლოგიკური მსჯელობის ნაწილი შედგება 17 ტესტური დავალებისაგან.
ტესტის ამ ნაწილის მაქსიმალური ქულაა 17.
ტესტის ამ ნაწილის შესასრულებლად გეძლევათ 1 საათი და 10 წუთი.
2. რაოდენობრივი მსჯელობის ნაწილი შედგება 20 დავალებისაგან.
ტესტის ამ ნაწილის მაქსიმალური ქულაა 20.
ტესტის ამ ნაწილის შესასრულებლად გეძლევათ 1 საათი და 15 წუთი.

სწორი პასუხის გაცემისათვის იწერება 1 ქულა.

თუ არცერთი პასუხი არ არის მონიშნული, იწერება 0 ქულა.

არასწორი პასუხისათვის აკლდება 0,2 ქულა (ანუ იწერება -0,2 ქულა).

გისურვებთ წარმატებას!



ლოგიკური მსჯელობა

B ტიპის ტესტი

17 ამოცანა

დრო – 1 სთ 10 წთ

ამოცანა 1.

გამოცდის შესახებ მოცემულია დასკვნა:

- *ტყუილია, რომ გამოცდაზე მაქსიმალური შესაძლო ქულა არავის მიუღია.*

თუ ცნობილია, რომ ქულის გარეშე არცერთი გამოსაცდელი არ დარჩენილა, მაშინ ამ გამოცდის შესახებ ქვემოთ მოყვანილი რომელი პირობა არ იქნება საკმარისი მოცემული დასკვნის გამოსატანად?

- (ა) ანდრიამ მაქსიმალური შესაძლო ქულა მიიღო.
- (ბ) ტყუილია, რომ ჯაბას მაქსიმალური შესაძლო ქულა არ მიუღია.
- (გ) არცერთ გამოსაცდელს მინიმალური შესაძლო ქულა არ მიუღია.
- (დ) გამოსაცდელთა მხოლოდ მეათედმა მიიღო მაქსიმალური შესაძლო ქულა.
- (ე) ტყუილია, რომ ყველა გამოსაცდელმა მაქსიმალურ შესაძლო ქულაზე დაბალი ქულა მიიღო.

ამოცანა 2.

მრბოლელის კუთვნილი მოტოციკლების შესახებ ცნობილია, რომ:

- *მხოლოდ ორი არ არის კავასაკი; მხოლოდ ორი არ არის სუზუკი; მხოლოდ ორი არ არის ჰონდა.*

ქვემოთ ჩამოთვლილი რიცხვებიდან ერთ-ერთი წარმოადგენს მრბოლელის მოტოციკლების რაოდენობას. რომელია ეს რიცხვი?

(ა) 3

(ბ) 5

(გ) 6

(დ) 8

(ე) 9

ამოცანა 3.

ცნობილია, რომ:

თითოეულმა, ვინც ავტომობილი BP23 Hyper-GT შეიძინა, საჩუქრად უნიკალური სკულპტურა – „სიჩქარის ფორმა“ – მიიღო. ეს ხელნაკეთი სკულპტურებია, რომელთაგან თითოეულს უნიკალური ნომერი აქვს. არცერთი ასეთი სკულპტურა არ გაყიდულა და არც რაიმე სხვა ფორმით გაჩუქებულა.

ჩამოთვლილთაგან რომელია აუცილებლად ჭეშმარიტი?

- I. ყველამ, ვინც „სიჩქარის ფორმა“ საჩუქრად მიიღო, BP23 Hyper-GT შეიძინა.
- II. ყველამ, ვინც BP23 Hyper-GT შეიძინა, უნიკალური ნომრის მქონე სკულპტურა მიიღო საჩუქრად.
- III. არცერთს, ვისაც „სიჩქარის ფორმა“ არ მიუღია საჩუქრად, არ უყიდა BP23 Hyper-GT.

- (ა) მხოლოდ I.
- (ბ) მხოლოდ II.
- (გ) მხოლოდ I და II.
- (დ) მხოლოდ I და III.
- (ე) სამივე.

ამოცანა 4.

ილია კარგად ხატავს, თუმცა ფერებს ის უცნაურად იყენებს:

- თუ რაიმე ნახატისთვის იყენებს წითელს, მაშინ ამ ნახატისთვის აუცილებლად იყენებს ლურჯსაც.
- თუ რაიმე ნახატისთვის იყენებს ყავისფერს, მაშინ ამ ნახატისთვის არ იყენებს ლურჯს.
- თუ რაიმე ნახატისთვის არ იყენებს წითელს, მაშინ ამ ნახატისთვის აუცილებლად იყენებს მწვანეს.
- თუ რაიმე ნახატისთვის არ იყენებს მწვანეს, მაშინ ამ ნახატისთვის არ იყენებს არც ყვითელს.

ილიამ გადაწყვიტა, რომ ნახატი მხოლოდ ერთი ფერის გამოყენებით დახატოს. რომელ ფერს გამოიყენებს ის ამისთვის?

- (ა) ლურჯს.
- (ბ) მწვანეს.
- (გ) ყავისფერს.
- (დ) ყვითელს.
- (ე) წითელს.

ამოცანა 5.

მიხეილი:

გუშინ მეზობელ უბნელებს კალათბურთის ორი მატჩი ზედიზედ ვეთამაშეთ. პირველ მატჩში ხუთი-ხუთზე ვეთამაშობდით და დავმარცხდით. ამის შემდეგ ჩვენს ერთ-ერთ თანაგუნდელებს – ზურაბს – წასვლა მოუწია და მეორე მატჩი იმავე მოწინააღმდეგესთან ოთხი-ხუთზე ვითამაშეთ. მიუხედავად ამისა, ამჯერად დამაჯერებლად მოვიგეთ. ე.ი. თურმე ზურაბი გვიშლიდა ხელს სწორი ტექტიკით თამაშში და ის რომ არ გვყოლოდა, პირველსაც მოვიგებდით.

ჩამოთვლილთაგან ყველაზე მეტად რომელი დააყენებს ეჭვქვეშ მიხეილის მიერ გამოტანილი დასკვნის მართებულობას?

- (ა) მიხეილის გუნდელები ყოფილი კალათბურთელები არიან.
- (ბ) ზურაბი და მიხეილი ხშირად თამაშობენ ერთად კალათბურთს.
- (გ) მიხეილის მეტოქე გუნდელები ნაკლებად გამოცდილი კალათბურთელები არიან.
- (დ) ზურაბი ყველაზე სწრაფია მიხეილის გუნდელებს შორის.
- (ე) მიხეილის გუნდელები ფიზიკურად ბევრად უფრო გამძლეები არიან, ვიდრე მეზობელი უბნელები.

ამოცანა 6.

ჟურნალისტი კონცერნის წარმომადგენელს მიმართავს:

თქვენი კონცერნის ყოველი გადამამუშავებელი საწარმო იყენებს ადგილობრივ ნედლეულს. ამავდროულად, კონცერნის ზოგიერთი კომპანია ეწევა ექსპორტს. გამოდის, რომ თქვენი კონცერნის არცერთი კომპანია, რომელიც ეწევა ექსპორტს, არ არის გადამამუშავებელი საწარმო.

მსჯელობა გახდება მართებული, თუ მის წანამძღვრებში ჩამოთვლილთაგან ერთ-ერთი წინადადება დაემატება. რომელია ეს წინადადება?

- (ა) ყოველი კომპანია, რომელიც იყენებს ადგილობრივ ნედლეულს, გადამამუშავებელი საწარმოა.
- (ბ) არცერთი გადამამუშავებელი საწარმო არ იყენებს ადგილობრივის გარდა სხვა ნედლეულს.
- (გ) ყოველი კომპანია, რომელიც იყენებს ადგილობრივ ნედლეულს, ეწევა ექსპორტს.
- (დ) არცერთი კომპანია, რომელიც ეწევა ექსპორტს, არ იყენებს ადგილობრივ ნედლეულს.
- (ე) კონცერნის ყველა კომპანია გადამამუშავებელი საწარმოა.

ამოცანა 7.

მოცემულია მსჯელობა:

უნივერსიტეტის ერთ ფაკულტეტს უფრო მეტი აკადემიკოსი ჰყავს, ვიდრე – მეორეს. შესაბამისად, ამ უნივერსიტეტის საბჭოში აკადემიკოსების რაოდენობა პირველი ფაკულტეტის წარმომადგენლებიდან უფრო მეტია, ვიდრე მეორე ფაკულტეტის წარმომადგენლებიდან.

ჩამოთვლილთაგან რომელ მსჯელობაშია დაშვებული ანალოგიური ლოგიკური შეცდომა, რაც მოცემულში?

- (ა) პანაუს რეგიონში უფრო მეტ ოქროს მოიპოვებენ, ვიდრე ედონიის რეგიონში. მდინარე ელდორადო ამ ორივე რეგიონზე გადის. უნდა დავასკვნათ, რომ ელდორადოდან პანაუში უფრო მეტ ოქროს მოიპოვებენ, ვიდრე ედონიაში.
- (ბ) საწარმო მაკომპლექტებელ ნაწილებს თანაბრად იღებს ჩინეთიდან და ვიეტნამიდან. წუნდებული მაკომპლექტებელი ნაწილების წილი ჩინეთიდან მიღებულში უფრო მეტია, ვიდრე ვიეტნამიდან მიღებულში. შესაბამისად, თუ რაიმე ნაწილი წუნდებულია, მაშინ უფრო სავარაუდოა ის ჩინეთიდან იყოს მიღებული, ვიდრე ვიეტნამიდან.
- (გ) ზოოპარკს უფრო მეტი სახეობის მაიმუნი ჰყავს, ვიდრე კატისებრი. შესაბამისად, ზოოპარკის დამთვალიერებელს უფრო მეტი სახეობის კატისებრის დათვალიერება შეუძლია, ვიდრე მაიმუნის.
- (დ) 742-ე სკოლას თითოეულ კლასში უფრო მეტი წარჩინებული მოსწავლე ჰყავს, ვიდრე 635-ე სკოლას. შესაბამისად, მეთორმეტეკლასელი წარჩინებული მოსწავლეები 742-ე სკოლაში უფრო მეტია, ვიდრე 635-ში.
- (ე) თბილისში ბეტაბანკს უფრო მეტი მომხმარებელი ჰყავს, ვიდრე – გამაბანკს. შესაბამისად, საქართველოში მომხმარებელი ბეტაბანკს უფრო მეტი ჰყავს, ვიდრე გამაბანკს.

ამოცანა 8.

კვაჭი:

ლატარიის გათამაშების საპრიზო ფონდი იზრდება, როცა მორიგი გათამაშებისას მოთამაშეები ვერ იგებენ. ამასთან, მოთამაშეები, რომლებიც ვერ იგებენ, შემდეგში ნაკლებად იღებენ გათამაშებაში მონაწილეობას. შესაბამისად, როცა საპრიზო ფონდი უფრო მაღალია, ამ დროს ნაკლები მოთამაშეა და ჩემ მიერ ლატარიაში მოგების შანსიც მაშინ უფრო მეტია.

ჩამოთვლილთაგან რომელი შეასუსტებს კვაჭის დასკვნის მართებულობას?

- I. გაზრდილი საპრიზო ფონდით ლატარიის ორგანიზატორები ახალი მოთამაშეების მოზიდვას ახერხებენ.
- II. რამდენიმე მოთამაშის გამარჯვების შემთხვევაში საპრიზო თანხა გამარჯვებულებს შორის ნაწილდება.
- III. კონკრეტული მოთამაშის მიერ ლატარიაში მოგების შანსი არ არის დამოკიდებული სხვა მოთამაშეების რაოდენობაზე.

- (ა) მხოლოდ I.
- (ბ) მხოლოდ II.
- (გ) მხოლოდ III.
- (დ) მხოლოდ I და II.
- (ე) მხოლოდ I და III.

ამოცანა 9.

ბანაკში ანა და ბადრი უცნაურად ერთობოდნენ: ისინი მთელი დღის განმავლობაში ან სულ ტყუილს ამბობდნენ, ან – სიმართლეს:

	1-ლი დღე	მე-2 დღე	მე-3 დღე	მე-4 დღე	მე-5 დღე	მე-6 დღე
ანა	ტყუილი	სიმართლე	სიმართლე	ტყუილი	ტყუილი	ტყუილი
ბადრი	ტყუილი	ტყუილი	ტყუილი	სიმართლე	სიმართლე	ტყუილი

რომელიღაც დღეს ერთ-ერთმა მათგანმა თქვა – „გუშინ მე ტყუილს ვამბობდი“, რაზეც მეორემ უპასუხა – „მეც“.

ჩამოთვლილთაგან რომელ დღეს შეიძლება შემდგარიყო ეს დიალოგი?

- (ა) მე-2
- (ბ) მე-3
- (გ) მე-4
- (დ) მე-5
- (ე) მე-6

ამოცანა 10.

ნაწყვეტი რეცენზიიდან:

მწერლის პოპულარულ ნაწარმოებთა უმეტესობა მარადიული ფასეულობების თემას ეხება; თუმცა, სხვა თემატიკის ნაწარმოებებიდანაც ზოგიერთი ძალიან პოპულარულია. ამასთან, მისი ყოველი პოპულარული ნაწარმოები ბესტსელერია.

ამ მწერლის შესახებ გამოტანილი რომელი დასკვნა გამომდინარეობს მოცემული ნაწყვეტიდან?

- (ა) მისი არცერთი პოპულარული ნაწარმოები არ არის ბესტსელერი.
- (ბ) მის მიერ დაწერილი ყველა თემატიკის ნაწარმოები პოპულარულია.
- (გ) მისი ზოგიერთი ბესტსელერი მარადიული ფასეულობების თემას ეხება.
- (დ) მისი ზოგიერთი არაპოპულარული ნაწარმოები არ ეხება მარადიული ფასეულობების თემას.
- (ე) მისი ბესტსელერების აბსოლუტური უმრავლესობა არ ეხება მარადიული ფასეულობების თემას.

ამოცანები 11-13 შემდეგ მოცემულობას ეყრდნობა:

ანსამბლის ოთხი გოგონასაგან – ანა, ბაია, გუგული, დიანა – და ოთხი ბიჭისგან – ემზარი, ვაკო, ზაზა, თემური – უნდა შედგეს ოთხი წყვილი (გოგო-ბიჭი). ისინი ერთმანეთის მიმდევრობით იცეკვებენ წყვილთა ცეკვას. თითოეული მონაწილე თითო ცეკვას შეასრულებს. დაცული უნდა იყოს შემდეგი პირობები:

- ანა არ უნდა იყოს დაწყვილებული არც ზაზასთან და არც თემურთან.
- ბაია და ვაკო ერთად იცეკვებენ.
- გუგულის წყვილი II ცეკვას იცეკვებს.
- დიანას წყვილის ცეკვა უფრო ადრე შესრულდება, ვიდრე ემზარის წყვილის ცეკვა.

ამოცანა 11.

ჩამოთვლილთაგან რომელი შეიძლება წარმოადგენდეს წყვილების მიერ შესრულებული ცეკვების თანამიმდევრობას?

- | | | | |
|-------------------------------|-----------------------------|----------------------------|-----------------------------|
| (ა) I ცეკვა: ბაია და ვაკო, | II ცეკვა: გუგული და ზაზა, | III ცეკვა: ანა და ემზარი, | IV ცეკვა: დიანა და თემური. |
| (ბ) I ცეკვა: დიანა და ზაზა, | II ცეკვა: გუგული და თემური, | III ცეკვა: ბაია და ვაკო, | IV ცეკვა: ანა და ემზარი. |
| (გ) I ცეკვა: დიანა და ემზარი, | II ცეკვა: გუგული და ზაზა, | III ცეკვა: ანა და თემური, | IV ცეკვა: ბაია და ვაკო. |
| (დ) I ცეკვა: ბაია და ვაკო, | II ცეკვა: დიანა და ზაზა, | III ცეკვა: ანა და თემური, | IV ცეკვა: გუგული და ემზარი. |
| (ე) I ცეკვა: დიანა და ვაკო, | II ცეკვა: გუგული და ემზარი, | III ცეკვა: ბაია და თემური, | IV ცეკვა: ანა და ზაზა. |

ამოცანა 12.

ჩამოთვლილთაგან რომელია შეუძლებელი?

- (ა) ანას წყვილმა შეასრულოს I ცეკვა.
- (ბ) დიანას წყვილმა შეასრულოს III ცეკვა.
- (გ) ემზარის წყვილმა შეასრულოს IV ცეკვა.
- (დ) ვაკოს წყვილმა შეასრულოს IV ცეკვა.
- (ე) ზაზას წყვილმა შეასრულოს I ცეკვა.

ამოცანა 13.


თუ ვაკო უფრო ადრე იცეკვებს, ვიდრე ზაზა, მაშინ ჩამოთვლილთაგან რომელია აუცილებლად ჭეშმარიტი?

- (ა) ანა და ვაკო ერთად იცეკვებენ წყვილში.
- (ბ) გუგული და თემური ერთად იცეკვებენ წყვილში.
- (გ) ემზარი II ცეკვას შეასრულებს.
- (დ) ვაკო I ცეკვას შეასრულებს.
- (ე) ზაზა და დიანა ერთად იცეკვებენ წყვილში.

ამოცანები 14-17 შემდეგ მოცემულობას ეყრდნობა:


ციხე-ქალაქს გარშემო გალავანი აკრავს, რომელშიც 8 საგუმბაგო კოშკია განთავსებული (იხ. ნახაზი). თითოეულ კოშკში თითო მცველი დგას. ერთმანეთის მეზობელი ვუწოდოთ კოშკებს, რომლებსაც გალავანი უშუალოდ აკავშირებს. ასეთ კოშკებში მდგარ მცველებსაც ერთმანეთის მეზობელს ვუწოდებთ. ცნობილია რომ:

- მცველებიდან ოთხი არის გვარად ციხისელი: A, B, C, D, დანარჩენი ოთხი არის გვარად კოშკელიშვილი: W, X, Y, Z.
- ჩრდილო-აღმოსავლეთის კოშკში დგას A.
- დასავლეთის კოშკში დგას W.
- C და D მეზობელ კოშკებში დგანან.
- X არ დგას არც Y-ის და არც Z-ის მეზობლად.
- თითოეული ციხისელის მეზობლად დგას ერთი ციხისელი და ერთი კოშკელიშვილი.



ამოცანა 14.

მოცემულთაგან მცველთა რომელი განლაგებაა შესაძლებელი?



ამოცანა 15.

აღმოსავლეთის კოშკში X რომ იდგეს, მაშინ ჩამოთვლილთაგან რომელი იქნება ჭეშმარიტი?

- (ა) ჩრდილოეთის და ჩრდილო-დასავლეთის კოშკებში ერთი და იმავე გვარის წარმომადგენლები დგანან.
- (ბ) სამხრეთის და სამხრეთ-დასავლეთის კოშკებში ერთი და იმავე გვარის წარმომადგენლები დგანან.
- (გ) ჩრდილოეთ მხარეს მდებარე სამივე კოშკში ციხისელები დგანან.
- (დ) სამხრეთ მხარეს მდებარე სამივე კოშკში ციხისელები დგანან.
- (ე) დასავლეთ მხარეს მდებარე სამივე კოშკში კოშკელიშვილები დგანან.

ამოცანა 16.

ჩამოთვლილთაგან რომელია აუცილებლად ჭეშმარიტი?

- (ა) აღმოსავლეთის კომპში კომპელიშვილი დგას.
- (ბ) ჩრდილოეთის კომპში ციხისელი დგას.
- (გ) სამხრეთის კომპში ციხისელი დგას.
- (დ) სამხრეთ-დასავლეთის კომპში კომპელიშვილი დგას.
- (ე) სამხრეთ-აღმოსავლეთის კომპში კომპელიშვილი დგას.

ამოცანა 17.

თუ აღმოსავლეთის კომპში B დგას, მაშინ ჩამოთვლილთაგან რომელია ის წყვილი, რომელიც შეიძლება არ იდგეს ერთმანეთის მეზობლად?

- (ა) A და B
- (ბ) B და X
- (გ) C და D
- (დ) W და Z
- (ე) Y და Z

ტესტის დასასრული